

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Korneli Kekelidze

Ten Articles for the Press

Compiled and edited by
Darejan Menabde

**Tbilisi
2019**

კორნელი კეკელიძე

ათი სტატია პრესისთვის

შეადგინა, ბიბლიოგრაფიული ცნობები და
საძიებლები დაურთო
დარეჯან მენაბდემ

თბილისი
2019

UDC(უაკ)27-565+271.22(479.22)+27-772+27+726.1(045)

კ-392

რედაქტორი

დარეჯან მენაბდე

Editor

Darejan Menabde

სარედაქციო კოლეგია:

ირმა რატიანი

Irma Ratiani

მაკა ელბაქიძე

Maka Elbakidze

მანანა კვაჭანტირაძე

Manana Kvachantiradze

გაგა ლომიძე

Gaga Lomidze

ივანე ამირხანაშვილი

Ivane Amirkhanashvili

როსტომ ჩხეიძე

Rostom Chkheidze

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თინათინ დუგლაძისა

Computer Software

Tinatin Dugladze

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული

ლიტერატურის ინსტიტუტი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა № 5; ტელ.: 995 (32) 99 53 00

0108, Tbilisi, 5, M. Kostava str.

Tel.: 995 (32) 99 53 00

ISBN 978-9941-13-341-1

სარჩევი

შემდგენლისაგან.....	7
მცხეთობა.....	9
როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას.....	13
საჭიროა თუ არა ქართლში საეპისკოპოსო კათედრა?.....	19
„კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“.....	24
„საქართველოს საექსარხოსო“ (ისტორიულ-კანონიური ცნობა).....	28
ახალი სიურპრიზი.....	32
დიდუბის ეკლესია.....	40
მცირე შენიშვნა.....	46
პროვოკაცია თუ სიბეჭე? (ალ. რემიზოვი და სომხების „სურფსარქისი“).....	51

ლვთის-მსახურება და სამღვდელოება (მოხსენება, წაკითხული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე).....	59
ბიბლიოგრაფიული ცნობები.....	73
საძიებლები.....	75

შემდგენლისაგან

დიდი ქართველი მეცნიერის, კორნელი კეკელიძის (1879-1962), სტატიები სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე ათეული წლების განმავლობაში იპეჭდებოდა ქართულ პრესაში. მათი ძირითადი ნაწილი შესულია ავტორის სამეცნიერო შრომათა კრებულებში („ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“), თუმცა არის ისეთი სტატიებიც, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისის (პირველ-ნაბეჭდების) შემდეგ არ გამოქვეყნებულა.

ცნობილია, რომ 1916 წელს კორნელი კეკელიძე დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. XVIII საუკუნის შემდეგ ის იყო სასულიერო სემინარიის პირველი ქართველი რექტორი და სწორედ მის სახელს უკავშირდება სემინარიის „გაქართულება“. იმ დროის ქართულ პრესაში კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა არაერთი სტატია საეკლესიო საკითხებზე. შემდგომში, სავარაუდოდ, საბჭოური ეპოქის მთელრიგ გარემოებათა გამო, ეს ტექსტები აღარსად

დაბეჭდილა [გარდა 1917 წლის საეკლესიო კრებაზე წაკითხული მოხსენებისა – იხ. ნ. პაპუაშვილის პუბლიკაცია („ზღვარი“. 2005, №1)], არადა, მათში წამოჭრილი საკითხები არა მარტო იმ ეპოქისთვის იყო აქტუალური... ამ სტატიებში მკაფიოდ ჩანს კორნელი კეკელიძის პატრიოტიზმი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნება და მოქალაქეობრივი პოზიცია.

ნიგნში თავმოყრილია კორნელი კეკელიძის 10 ტექსტი საეკლესიო საკითხების შესახებ, რომელიც 1915-1917 წლებში გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „საქართველოსა“ (რედაქტორი ს. შანშიაშვილი) და სრულიად საქართველოს საკათალიკო-სოს საბჭოს უურნალ „სვეტიცხოველში“ (რედაქტორი პ.ინგოროვა).

P. S. ავტორის მართლწერას ვტოვებთ უცვლელად.

მცხეთობა

დღეს ქართველი ერი დღესასწაულობს „მცხე-თობას“, ანუ, საეკლესიო ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, – „კათოლიკე ეკლესიისა, სვეტი-სა წმიდისა და კვართისა საუფლოისა“ დღე-ობას. იქნება ბევრი არც კი იცნობდეს ამ სიტყ-ვების ისტორიულ შინაარსს, ამიტომ მოკლედ გავითვალისწინებთ მათ მნიშვნელობას.

მატიანეს სიტყვით, როდესაც ელიოზმა იერუ-სალიმიდგან მცხეთას მოიტანა მაცხოვრის კვარ-თი ანუ პერანგი, მას მიეგება მისი და სიდონია, რომელმაც გულში ჩაიკრა ეს კვართი და იქვე სუ-ლი განუტევა. იმ ადგილას, სადაც ის დაასაფლა-ვეს გულში კვართჩახუტებული, ამოვიდა კვი-პაროზის ხე. როდესაც წმიდა ნინომ მონათლა ქართველები, მირიან მეფემ სიდონიას კვართის საფლავზე ააშენა მცხეთის ტაძარი, რომელსაც მისი სიდიადისა და ცენტრალ მნიშვნელობის გამო

ეწოდა „კათოლიკე“ ეკლესია. კვიპაროზი, რომელიც ამ საფლავზე იყო, მოსჭრეს და ეკლესიის დედა-ბოძად მოიხმარეს. ბევრი ცდა და შრომა დახარჯეს ოსტატებმა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხეს ამ ბოძის აღმართვა; ბოლოს, წმიდა ნინოს ვედრებით, ის თავის-თავად აღემართა და იწყო სასწაულთა ჩვენება.

ამნაირად, „კათოლიკე ეკლესია“, რომელიც „საშვალ საშოისა თვისისა“ შეიცავს „სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა“, ჩვენ გვაგონებს ქართველების გაქრისტიანებას და წმ. ნინოს და მირიანის ღვაწლს ამ საქმეში. „მცხე-თობა“ საქართველოს ეკლესიის ერთი უძველეს დღესასწაულთაგანია, რომელიც თან და თან ვითარდებოდა, სანამ დღევანდელი სახე არ მიიღო მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც გამოჩენილმა ნიკოლოზ კათალიკოზმა შეაქვი ის შინაარსიან, ენა-წყლიან და ზეაღმაფრენ საგალობლებით და „გიხაროდენით“. კვართი უფლისა საქართველოში შეიქმნა სიმბოლოდ არამც თუ ეკლესიისა, არა-მედ ცხოვნებისა და სახელმწიფოისა; ქართველი მეფეები მას ჰხატავდნენ თავიანთ ღერბში.

„მცხეთობა“ არის ჩვენი კულტურის და ისტორიის ფოკუსი. „კათოლიკე ეკლესიის“ აშენებიდგან და მასში სვეტი-ცხოველის აღმართვიდგან ჩვენში იწყება ახალი ხანა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ გამოარკვია ჩვენი ისტორიული სვებედი. დღეს ჩვენ თუ შეგვრჩენია „ქართველის“ სახელი, დღეს ჩვენ თუ გვატკბობს ენა ქართული, – ეს „მცხეთობის“ მეოხებით, ვინაიდგან მცხეთაში მომხდარმა ფაქტმა, რომელსაც დღეს ვიგონებთ, შექმნა და განამტკიცა ქართული ეროვნული და პოლიტიკური ორგანიზმი. ტყუილად კი არ ამბობდა მეცხრე საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, რომ საქართველო ის არის, სადაც ქართულ ენაზე გაისმის ღვთის დიდებაო, და ეს ღვთის-დიდება კი მომდინარეობს მცხეთიდგან. მართალია, დღეს ჩვენთვის ამ დღესასწაულს იმდენი სარწმუნოებრივი სიცხოველე აღარ აქვს, როგორც წინედ, მაგრამ ის ეხლა ჩვენთვის უფრო ძვირფასი უნდა იყოს, როგორც ეროვნულ იდეის გამომხატველი და მატარებელი. ამისთვის ყოველი შეგნებული ქართველი, ყველა ის, ვისთვისაც „ქართველის“ სახელწოდებას რაიმე მნიშვნელო-

ბა და ფასი აქვს, ვალდებულია მივიდეს დღეს
მცხეთაში და თაყვანი სცეს თავისი კულტურის,
ეროვნების და პოლიტიკური წარსულის აკვანს
და ემპაზს. ამით გავახარებთ მირიან მეფის აჩ-
რდილს, რომელიც გულდამშვიდებით ეტყვის
ნინოს, ქეთევანს და თვით ღვთის-მშობელს: „აჰა,
მე და შვილნი ჩემნი, რომელნიც დღეს მოვიგე მეო!“

როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას

[....]¹ მხოლოდ ერთადერთი ადამიანი გამოჩნდა ეხლახან, რომელმაც თითქოს მამობრივი თვალით შეხედა მას, ეს იყო ექსარხოსი პიტირიმი. ამ უკანასკნელის „ტკბილმა სიტყვებმა“ მართლაც რომ „გულს იმედი ჩაგვისახა“; ვამბობ – „ტკბილმა სიტყვებმა“, რადგანაც „ტკბილი საქმის“ გაკეთების ნებას, როგორც თვითონ გვარწმუნებდა, სინოდი მას არ აძლევდა. მაგრამ ჩარხი სხვა ნაირად დატრიალდა: ჩვენი მოქომავე პიტირიმი დაინიშნა პეტროგრადის მიტროპოლიტად და არამც თუ სინოდს მოექცა სათავეში, იმ სინოდს, რომელიც მას გზაზე ეღობებოდა, პოლიტიკურ მოღვაწეთა წრეშიაც კი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ეხლა ყოველმა ქართველმა თავისუფლად

¹ ტექსტი ასე იწყება.
შემდგ.

ამოისუნთქა: ჩვენს გულშემატკივარ მამას ამ-დენ ხანს თუ არა ჰქონდა შეძლება „საქმის“ გაკეთებისა, ეხლა ხომ იმას გააკეთებს, რაცა სურსო, ამბობდენ. მართლაც, რამდენიმე „საქმე“ პეტროგრადში ჩასვლისთანავე გაგვიკეთა მან.

პირველ ყოვლისა მან ჩვენ აღგვიდგინა ქუთა-ისის სემინარია; მართალია, ქუთაისის სემინა-რიის აღდგენის იდეია იმერეთის ეპისკოპოზს გიორგის ეკუთვნის, – ამან პირველმა აღძრა პიტირიმის წინაშე სათანადო შუამდგომლობა, – მაგრამ განხორციელება მისი სულ ერთიან პიტირიმის საქმეა. ჩვენ გვეგონა, პიტირიმი ეროვნულ სემინარიას აღგვიდგენდა, ისეთ სე-მინარიას, სადაც მომავალი მწყემსები ქართველ ერისა მშობლიურ ენაზე მიიღებდნენ განათლე-ბას; სამწუხაროდ, იმედი არ გაგვიმართლდა: ჩვენ მოგვცეს ისეთი სემინარია, სადაც ქართუ-ლი ენის ხსენებაც არ არის, არამც თუ როგორც ყველა საგნების სამოსწავლო ენისა, არამედ როგორც კერძო საგნისა. ნუთუ ასეთი სემინა-რია გააუმჯობესებს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას?

მეორე თვალსაჩინო საქმე ყოვლადსამღვდელო პიტირიმისა არის ალავერდის კათედრის აღდგენა. თავისთავად ალავერდელის აღდგენა და მისი შუაკახეთში, ხალხთან ახლო, დამკვიდრება კეთილი საქმეა; ვისაც საეკლესიო იდეია და შეგნებული ეპისკოპოზის როლი ცოტად თუ ბევრად კიდევ სწამს და აინტერესებს, ის მხურვალე თანაგრძნობით შეეგებება ამგვარ აქტის. ეს საკამათო ყოფილა მხოლოდ „ზაკ. რეჩ“-ისთვის, რომელსაც, რაღაც მოსაზრებით არ მოსწონს ახალი ექსარხოსის ასეთივე გადაწყვეტილება (**№40**, – გორის ეპისკოპოზის გორში დაბინავების და თბილისში მესამე ქართველ ეპისკოპოზის დანიშვნის შესახებ) და ამბობს: ალავერდის კათედრის აღდგენა საინტერესო ჩვენთვის უფრო მით იყო, რომ მან გააბათილა ის უსამართლო აქტი, რომელმაც გამოიწვია აღნიშნულ კათედრის დახურვა და მისი ხარჯით რუსის საეპისკოპოზოს გახსნა ბაქოში (წერილი “Верующий литератор”-ისა **№34** თუ **35**). მაგრამ ესე არის კი? სამწუხაროდ, ალავერდელის შესანახად თანხა ისევ ბაქოს საეპისკოპოზოს დარჩა, ხოლო

აღდგენილ კათედრის შენახვა უმეტეს ნაწილად ისევ ქართველობას დაატვირთეს: 1600 მანეთი მის შესანახად წაართვეს ისედაც გაძვალტყავებულ და დაჩაგრულ სამღვდელოებას (ძველი სე-მინარიის შენობის შემოსავლისაგან), 600 მანეთი კი შუამთა-ალავერდს, რომელსაც თავის თავიც ვერ შეუნახავს. ნუ თუ სინოდს ან მის მეთაურს არ შეეძლო ეს საკითხი ისე მოეწესრიგებია, რომ მისი სიმძიმე ქართველ სამღვდელოებას არ დასწოლოდა კისერზე?

ეს კურიოზი ჩვენ გვაგონებს „დიდუბის საკითხის“ იმ ბრძნულ გადაწყვეტილებას, რომელიც სინოდმა გამოიტანა პიტირიმის მეთაურობით. გაზეთებში აღნიშნული იყო უკვე, რომ ქართველებმა დიდუბის ეკლესიის შესანარჩუნებლად, თანახმად სინოდის გადაწყვეტილებისა, რუსებს ეკლესია უნდა აუგონ იქვე ახლო, დასახელებულ ეკლესის, ესე იგი საკუთარის ხარჯით. „ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“, სწორედ ეს არის: ქართველებმა, რომელთაც თავის თავისთვის ვერ უპატრონებიათ, უნდა სხვას აუგონ ეკლესია, ისიც იმიტომ, რომ საკუთრება, ისტორიული

მამაპაპური ნაშთი, შეინარჩუნონ! ნუ თუ სი-
ნოდს, რომელიც მილიონებს ხარჯავს კავკასიაში
გადმოსახლებულ რუსთათვის ეკლესიების ასა-
შენებლად, არ შეეძლო საჭირო თანხა გადაედვა
დიდუბელ რუსებისათვის ეკლესის ასაგებად,
რომ ისიც ჩვენ, ქართველებს დაგვაკისრა?!

ეს ყველაფერი წვრილმანია იმასთან შედარე-
ბით, რაც ეხლახან ვცანით. ამას წინად დეპეშამ
გადმოგვცა, რომ სინოდს განუზრახავს რუსეთის
ეკლესის „სამიტროპოლიტო ოლქებად“ დაყოფა.
სატახტო გაზეთები უფრო ვრცლად ეხებიან ამ
პროექტის შინაარსს: მთელი რუსეთის ეკლესია
იყოფა რვა სამიტროპოლიტო ოლქად, ერთ მათ-
განს ერქმევა „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლ-
ქი“; ესე იგი ამიერიდგან საქართველოს ეკლე-
სის სახელი დოკუმენტებშიც, ქაღალდზედაც,
კი ჰქონდა, ვინაიდგან მას ჰყოლაპავს „კავკასიის
სამიტროპოლიტო ოლქი“. 1906-07 წლებში, რო-
დესაც ცნობილმა ვოსტორგოვმა ჩვენი ეკლესი-
ის გათახსირება მოინდომა, უკეთესი საშუალე-
ბა ვერ გამოძებნა მიზნის მისაღწევად და ეგრედ
წოდებულ „წინასწარ კრებას“ სწორედ ასეთი

პროექტი წარუდგინა. მაშინდელმა სინოდის წევ-რეპმა ეს პროექტი უყურადღებოდ დასტოვეს, ეხლა კი, როგორც სჩანს, ვოსტორგოვს ის ად-ვილად გაუსაღებია. ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თავის შინაარსით კიდევ გვაგონებდა, რომ, თუ ეხლა არა, ოდესლაც მაინც ყოფილა „საქართველოს ეკლესია“; „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქმა“ კი სამუდამოდ დამარხა ეს კანონიკური და ისტორიული ფორმულა, ვინაიდგან ამ „სამიტროპოლიტოში“, რომელიც გადაიჭიმება სტავროპოლიდან აზრუმ-სპარსეთის ზღვამდე, ქართველებს და მათ ინტერესებს მეტად მცირე ალაგი ეკავებათ. ნუთუ მიტროპოლიტ პიტირიმს საქართველოს ეკლესიის გაუმჯობესობა და მისი „კანონიურ“ უფლებათა აღდგენა, რასაც ის დაბეჯითებით გვპირდებოდა, ასე ესმის? „რომელთა ესხენ ყურნი სმენად, ისმინენ“.

საჭიროა თუ არა ქართლში საეპისკოპოსო კათედრა?

როდესაც ჩვენს საზოგადოებაში ხმა გავრცელდა – მცხეთაში საეპისკოპოზოს აარსებენო, „ზაკავკ. რეჩ“-მა დასწერა; „ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეს ხმა უსაფუძვლოა, და იმედი გვაქვს სასულიერო მთავრობა ავტორიტეტულად უარ-ჰყოფს მასო“ (№35). მართლაც, რამოდენიმე დღის შემდეგ მე გამოვაქვეყნე ექსარხოსის ნალაპარაკევი ამ საგნის შესახებ; გამოირკვა, რომ ეგზარხოსს განზრახული ჰქონია გორის ეპისკოპოზი, რომელიც ამ უამად თბილისში სცხოვრობს, სამუდამოდ გორში დააბინავოს, ხოლო თბილისში ქართველებისათვის ახალი ეპისკოპოზი დანიშნოს. ეს განმარტება, რომელიც ობიექტიურად, ინტერვიუს სახით, იყო გადმოცემული, ხსენებულ გაზეთს არ მოეწონა

და ექზარხოსის „გამოქომაგება“ (зашита) უწოდა
მას (№40), ეხლა „ზაკავკ. რეჩი“ პრინციპიალუ-
რად ეწინააღმდეგება მესამე ეპისკოპოზის და-
ნიშვნას, თუმცა ამ ეპისკოპოზის დანიშვნა გამოწ-
ვეულია იმ მოსაზრებით, რომ ქართლსაც ისე
სჭირია ეპისკოპოზი, როგორც კახეთს. ჭეშმარი-
ტად საკვირველია ხსენებულ გაზეთის პოზიცია,
იმ გაზეთის, რომელიც ასე მედგრად იცავდა
კახეთში საეპისკოპოზო კათედრის აღდგენის
იდეიას, რომლისაგან განუწყვეტელი „იერემი-
ადა“ ისმოდა კახეთში კათედრის გაუქმების
გამო, რომელმაც სწორედ ალავერდის კათედრის
აღდგენაზე ააშენა ყოფილ ექსარხოსის, პიტი-
რიმის, სახელი და დიდება ჩვენში. საოცარია
ღმერთმანი! კახეთში (სილნალისა და თელავის
მაზრაში, სადაც 7453 ოთხკ. ვერსის სივრცეზე
133 სამრევლოა) საჭირო ყოფილა ეპისკოპოზი,
ქართლში კი (გორისა და ახალქალაქ-ახალციხის
მაზრაში, სადაც 10745 ოთხკ. ვერსის სივრცეზე
169 სამრევლოა) – ზედმეტი; ამ ორი თვის წინად
საჭირო იყო ჩვენთვის ეპისკოპოზი, დღეს კი ის
„არ შეესაბამება ქართველ ერის სულის კვეთებას“;

პეტრე თუ მოგვცემდა მას, საჭირო იყო, პავლე-საგან კი არ გვინდა! სად არის პიტირიმი?! ყველა დამეთანხმება, რომ ბ.ბ. „ვერუიუშჩი მირიანინის“ (№35) და „კენტის“ (№40) გულუბრყვილო რწმუნება – ჩვენთვის მარტო ალავერდის კათედრა იყო საჭირო და საინტერესო, ვერავის ვერ და-არწმუნებს. მართლაც და, განა თელავის და სიღნაღის მაზრა უფრო შორს ახლავს თბილისს, ვიდრე გორისა და ახალციხე-ახალქალაქისა? განა კახეთის მკვიდრნი უფრო არიან მოკლებულნი სულიერ საზრდოს, ვიდრე ქართლის? განა კა-ხეთში კათედრის აღდგენით ბაქოს ეპისკოპოზს ჩამოერთვა ალავერდის შესანახი თანხა? განა ალავერდელის აღდგენით ჩვენ დაგვიბრუნდა საყ-ვარელი მწყემსთმთავარი დავითი? განა კახეთის საეპისკოპოზოს აღდგენით ალავერდელს მიენიჭა სრული, განუსაზღვრელი უფლებები? დასასრულ, როდესაც ალავერდელის აღდგენას ვცდილობ-დით, განა მაშინ არ სუფევდა ჩვენში კარდინალუ-რი საკითხი საქართველოს ეკლესიის „კანონიურ უფლებათა“ აღდგენისა? ალავერდის კათედრის აღდგენით ჩვენ მივიღეთ ახალი ხარჯის გამოლე-

ბით (იხ. „საქართველო“, № 41), ის რაც გვქონდა, ახალ ეპისკოპოზის დანიშვნით, ჩვენ გვეძლევა, სრულიად უსასყიდლოდ, ესე იგი უახალხარჯოთ, ის, რაც არ გვქონია ჯერ. ალავერდელის აღდგენით ჩვენ მოგვეცა ისეთივე უუფლებო ეპისკოპოზი, როგორც ამდენხან გვყვანდა, ახალ ეპისკოპოზის დანიშვნით გორელისა და ალავერდელის უფლებები შესამჩნევად ფართოვდება, ვინაიდგან მათ უმზადებენ იმგვარსავე ინსტრუქციას, როგორიც აქვს ბაქოს ეპისკოპოზის. ამდენხან თუ „უსაქმოდ იჯდენ“ ჩვენი ეპისკოპოზები, როგორც ამტკიცებს ბ. „კენტი“ (№40), ეხლა სწორედ იმისთვის აპინავებენ მათ ქართლ-კახეთში, რომ ისაქმონ, სამღვდელოება გამოაღვიძონ, ხალხს უხელმძღვანელონ, მასთან ახლო იცხოვრონ და მისი ჭირ-ვარამი გაიზიარონ. პროვინციებში ეპისკოპოზების გამრავლება, წარსულის თვალსაზრისით, სრულებით ეთანხმება საქართველოს ეკლესიის საეპარქიო სისტემას, რომელიც ყოველ ქალაქისა და დაბისათვის საკუთარ ეპისკოპოზის თხოულობდა. ეხლანდელი მომენტის საზომით თუ შევხედავთ მას, დავინახავთ,

რომ უამისოდ შეუძლებელია განხორციელება „სამრევლო რეფორმისა“, რომელიც ასე აღელვებს თანამედროვე საზოგადოებას. ხოლო რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის „კანონიურ უფლებათა“ აღდგენას, პროვინციაში ეპისკოპოზების გამრავლება არამც თუ არ შეაფერხებს მას, პირიქით – წინ წასწევს, რასაკვირველია, თუ ეპისკოპოზები „უსაქმოდ“ ჯდომას არ მოინდომებენ და ხალხს შეაგნები-ებენ ამ საკითხის სიდიადეს და მნიშვნელობას. ჩვენზე ნაკლებად არ იცნობენ პროვინციის საჭი-როებას სოფლის „ბლალოჩინები“, რომელთაც 18 თებერვლის კრებაზე უღრმესი მადლობა გამო-უცხადეს ექსარხოსს ასეთ განზრახვისათვის და სთხოვეს, რაც შეიძლება განახორციელოს ის.

უეჭველია, „ზაკავკ. რეჩი“ ამ წერილსაც „გამო-ქომაგებას“ უწოდებს, მაგრამ ვარწმუნებ მას, რომ ყველას არ ჩვევია ჭეშმარიტების გადაფუჩეჩება და უარისყოფა ვიღაცას „გამოქომაგებისათვის“.

„კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, 25 თებერვალს, სასულიერო უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, ობერპროკურორს განუცხადებია სახელმწიფო სათათბიროში, რომ სინოდმა გადასწყვიტა ეხლავე შემოიღოს „სამიტროპოლიტო ოლქებიო“ (იხ. „კოლოკოლი“, №2935). ამ ნაირად, ოფიციალად მტკიცდება ცნობა „კავკასიის სამიტროპოლიტოს“ შესახებ, რომელიც, მთელის მისი სიმწვავით, პირველად „საქართველომ“ აღნიშნა ჩვენში (№41). სამწუხაროდ, ჩვენმა გაზეთებმა, „სახალხო ფურცლის“ გარდა, რომელიც ყრუდ გამოეხმაურა ამ ცნობას (№512), ყურადღების ღირსად არა სცნეს ეს გარემოება. ეხლა კი ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენს თვალწინ იშლება უკანასკნელი აქტი საქართველოს ეკლესიის ტრალედისა, ის აქტი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინად ცნობილმა ვოსტორგოვმა შეთითხნა. რა გვმართებს ეხლა ჩვენ?

ვიდრე საკითხი საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებათა აღდგენისა ჯერ არ გადაწყვეტილა, ჩვენს საეკლესიო გარეგნულ წეს-წყობილებაში უნდა დაცულ იქმნას status quo: „საქართველოს საექსარხოსო“, რომელიც ჩვენთვის უშინაარსო ბგერა არ არის, არსებითად უცვლელად უნდა დარჩეს. ან რად მოსდომებია სინოდს მისი მოსპობა და გაუქმება? იქნებ იმის-თვის, რომ არ იცის, რომელს სამიტროპოლიტოს მიაწეროს ჩრდილო კავკასია? ნუ დაავიწყდება, რომ მთელი თერგის ოლქი (ვლადიკავკავის ეპარქია) და კასპიის იქითა მხარე მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის საქართველოს ექსარხოსს ექვემდებარებოდა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „საექსარხოსო“ გაუქმება. იქნებ იმისთვის, რომ ჩვენშიაც საჭიროდ სთვლიან მიტროპოლიტის ხარისხს? ექსარხოსი დღეს-დღეობით წარმომადგენელია უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომელსაც პატრიარქი განაგებდა; ამ ეკლესიის პრესტიჟი სულ რომ არ დაეცეს, [...]!¹ რუსეთში,

1 აქ სამი სტრიქონი გამოტოვებულია (გაზეთის სვეტში ადგილი ცარიელია).

შემდგ.

ახალი პროექტით, არსებითად საწინააღმდეგო არა გვექნება რა, თუ ექსარხოსსაც, მთავარ-ეპისკოპოსის მაგიერ, მიტროპოლიტის ხარისხი მიენიჭება, მაგრამ იმ პირობით, რომ ის იქნება „მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა, სრულიად საქართველოს ექსარხოსი“; პირველი ჩვენი ექსარხოსები, სამოციან წლებამდის, ევსევი ექსარხოსამდის, მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდენ, მაგრამ ამას არ გამოუწევია „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება. რა იწვევს ეხლა იმას, თუ არა პოლიტიკანობა? რავდენიც უნდოდეთ, იმდენი სამიტროპოლიტო ოლქი დაიარსონ თავისითვის, საქართველოს საექსარხოსო კი „საქართველოს საექსარხოსოდ“ უნდა დარჩეს იმ დღემდის, როდესაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდება. ამ მხრივ ქართველებმა უნდა ხმა აღიმაღლონ ეხლავე: ხმა უნდა ამოიღონ მათ სახელმწიფო სათათბიროში, ხმა უნდა ამოაღებინონ მათ ვისმეს სინოდში, განსაკუთრებით მიტროპოლიტ პიტირიძეს, რომელსაც, მეტი არ იქნება, მოვაგონოთ – რას გვპირდება და რას გვაძლევს. აქაც, ადგილობრივ, სათანადო

დეპუტაცია უნდა გაუგზავნოთ მეფის ნაცვალს და აგრეთვე ახალ ექსარხოსს, რომელიც, რამ-დენადაც ვიცით, „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმების იდეიას არ თანაუგრძნობს.

„საქართველოს საექსარხოსო“

(ისტორიულ-კანონიური ცნობა)

1811 წელს, ღენერალ ტორმასოვის განკარგულებით, საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობაში ძირითადი ცვლილება მოხდა: კანონირი კათალიკოზი გადაყენებულ იქმნა თავის საყდრიდგან და „საკათალიკოზო“ შეიცვალა „საექსარხოსოდ“. რეფორმის ინიციატორებს აზრადა ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ხსენებაც კი აღარ დაერჩინათ, მაგრამ უნებლიერ მათ ისეთი ინსტიტუტი შემოიღეს, რომელიც სულ სხვა მიზანს აღწევს. მართლაც და, რას ნიშნავს „ექსარხოსი“, „საექსარხოსო“?

ფილოლოგიურად თუ გავსინჯავთ, დავინახავთ, რომ „ექსარხოსი“ არის ბერძნული ლექსი (exarchos) და აღნიშნავს უზენაესს გამგეს ისეთი ადგილისას, რომელიც განსაზღვრულ ტერიტო-

რიის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს.

მართლაც, სამოქალაქო სფეროში ასეთი იყო ერთ დროს ეგრედ წოდებული „რავენის“, ხოლო საეკლესიო „თესალონიკის“ საექსარხოსო.

სამოქალაქო ტერმინი „ექსარხოსი“ ბიზანტიაში გადაიქცა საეკლესიო-კანონიურ ტერმინად; იმით აღინიშნებოდა, როგორც ესა სჩანს მეოთხე მსოფლიო კრების მეცხრე და მეჩვიდმეტე კანონებისგან, სრულიად დამოუკიდებელი, ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქის უფროსი, რომელ-საც, ძველი ქართული მწერლობით, კათალიკოზი ეწოდებოდა,¹ ხოლო ბიზანტიაში, საეკლესიო ტერმინოლოგიის შემუშავების შემდეგ, – პატრიარქი.²

შემდგომ საუკუნოებში „ექსარხოსებად“ აღმოსავლეთში იწოდებოდნენ ის მღვდელ-მთავრები, რომლებიც დროებით განაგებდენ „დაქვრივებულ“ ავტოკეფალურ კათედრას. კერძოდ რუსე-

1 იხ. ჩემი გამოკვლევა – “Иерусалимский Канонарь”, стр. 246-248.

2 “Правила православной церкви с толкованиями Никодима, епископа Далматинского и Истрийского”, т. I, срт. 352. აგრეთვე – профессора В. Болотова – Лекции по истории древней церкви, т. III, стр. 216-222.

თის ეკლესიაში „ექსარხოსი“ ესმოდათ, როგორც „დროებით მცველი“ დაქვრივებულ საპატრიარქო კათედრისა. მაგალითად, ცნობილი სტეფანე იავორსკი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში, პატრიარქ ადრიანეს შემდეგ სინოდის დაარსებამდე, „საპატრიარქო საყდრის დროებით მცველი“ იყო (место – блюститель патриаршего престола), ექსარხოსად იწოდებოდა.

ამნაირად, ფილოლოგიურ, კანონიურ და ისტორიულ თვალსაზრისით „ექსარხოსი“ აღნიშნავს უზენაესს გამგეს ავტოკეფალურ ოლქისას, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანიულ ნაწილს არ შეადგენს. მაშასადამე, ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა: ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა, ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს“, დროებით რუსეთის „ექსარხოსი“ განაგებს.

რასაკვირველია, ღენერალ ტორმასოვს, როდე-საც ასეთ სახელს იგონებდა, სულ სხვა ჰქონდა

აზრად, მაგრამ ჩვენ კი, ვინაიდგან მას საეკლესიო ისტორიისა და კანონების არა გაეგებოდა რა, მეტი საბუთი მოგვცა ჩვენი პრეტენზიების გასამართლებლად. ტორმასოვის უნებლიერი შეცდომა შეიგნეს ვოსტორგოვმა და სინოდის დღევანდელმა წევრებმა და მოინდომეს იმის გამოკეთება: როგორც ვიცით, იმათ განუზრახავთ „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება და მის მაგიერ „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის“ შემოღება. ამ ოლქის მეოხებით მოხდება ჩვენი ეკლესიის ინკორპორაცია და მისი დღევანდელი სახის წარყვნა. აქედგან ცხადია, რამდენად საჭიროა დროებით, სანამ ჩვენი ეკლესიის კანონიურ უფლებათა აღდგენის საკითხი არ გადაწყვეტილა, არსებულ ინსტიტუტის – „საექსარხოსოს“ დაცვა და შენარჩუნება.

ახალი სიურპრიზი

რუსეთში ბოლო ხანს თავი წამოჰყო საეკლესიო საკითხმა, სინოდის მესვეურნი გრძნობენ, რომ იმათ, ნებსით თუ უნებლიერ, ანგარიში უნდა გაუწიონ ქართულ საეკლესიო საკითხსაც და გარკვეული ფიზიონომია მისცენ მას.

სწორედ ამისთვის მოინდომეს ამას წინადრალაც „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“, რომელშიაც ჩვენს ეკლესიას ყოველივე ფიზიონომია უნდა დაეკარგა. მართალია, დროზე გამოთქმულმა გულისწყრომამ ეს ხიფათი თავიდან აგვაშორა, მაგრამ ჩვენს კეთილმყოფელებს ეხლა ახალი სიურპრიზი დაუმზადებიათ ჩვენთვის: სინოდის ერთ-ერთ კომისიას, მიტროპოლიტ პიტირიმის თავმჯდომარეობით, განუზრახავს საექსარხოსოდან გამოჰყოს სოხუმის ოლქი და მისი „არა ქართული“ სამრევლოები მიაწეროს შავი ზღვის ეპარქიას, რომელსაც ახლად ჰქმნიან.

1885 წელს დაარსდა სოხუმის ეპარქია, რომელიც ამდენ ხანს საქართველოს საექსარხოსოში შედიოდა. ამ ეპარქიას შეადგენენ სოხუმის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია. შავი ზღვის გუბერნიაში, სადაც მეხუთე-მეექვსე საუკუნოებში ეგრედ წოდებული ზიქპიის (sikchi) ანუ, ქართული გამოთქმით, ჯიქეთის სამიტროპოლიტო არსებობდა, ქართული ელემენტი წინადაც და ეხლაც შემთხვევით მოვლენას წარმოადგენდა და წარმოადგენს; ამიტომ ამ გუბერნიის გამოყოფვა¹ საექსარხოსოდან ჩვენთვის საყურადღებოს არას წარმოადგენს. სულ სხვაა სოხუმის ოლქი.

პროექტი სოხუმის ეპარქიის გამოყოფვისა არა ახალი, – ძველია; ჯერ კიდევ 1906 წელს დააკანონა ცნობილმა ვოსტორგოვმა, რომ საქართველოს ეკლესიას, თუ ასეთი ეკლესია ოფიციალად ოდესმე ცნობილი იქმნება, უნდა ჩამოშორდეს სოხუმის ოლქი და იმისაგან ახალი, დამოუკიდებელი, ეპარქია შედგეს, რომელსაც

1 რასაკვირველია, სოხუმის ოლქს უნდა დაუბრუნდეს ის ადგილი (ადლერის, გაგრის და სხვა მიდამოები), რომელიც მას ჩამოსჭრეს ამ რამდენიმე წლის წინად და შავი ზღვის გუბერნიის ფარგალში მოაქციეს, სადაც დღესაც ცოცხალია ბევრი ქართული ეკლესიური ნაშთი.

ქ. ბათომიც უნდა მიეწეროსო. სამწუხაროა, რომ პროექტმა დღეს თავი შეაფარა იმ კო-მისიას, რომელსაც ჩვენი მოამაგე პიტირიმი თავმჯდომარეობს.

ახალი პროექტით სოხუმის ეპარქიის „წმიდა ქართული“ (чисто грузинские) სამრევლოები ისევ საექსარხოსოში უნდა დარჩეს, მაგრამ საკითხი ისაა, რას ჰგულისხმობს პროექტი „წმიდა ქართულ“ სამრევლოებად? 1910 წლის ვრცელი „კავკასიის კალენდარი“ სოხუმის ოლქში შემდეგ მართლმადიდებელ ეროვნებათ უჩვენებს! რუსებს 3648 სული, აფხაზებს 37 976 (ამათგან ქრისტიანებად მხოლოდ 20 777 სული ითვლება), ბერძნებს 4079, სვანებს 170, სამურზაყანოელებს 35 516, მეგრელებს 17 346 და ქართველებს (ქართლ-კახელებს, იმერლებს და გურულებს) 6053. ამავე ეროვნებათ უჩვენებს თავის ანგარიშში სოხუმის ეპარქიის რუსის ეპისკოპოზი არსენი¹ და ჩვენი მეგობარი ვოსტოკოვი. როგორც ვხედავთ ოფიციალი წყაროები არამც თუ აფხაზებს, მეგრელებსაც, სამურზაყანოელებსაც და სვანებ-

1 იხ. სინოდალურ კანტორის 1898 წლის საქმე №68.

საც არა სცნობენ ქართველი მოდგმის ერებად. ვოსტორგოვი თავის პროექტში იმეორებს სოხუ- მის ოლქის უფროსის თანაშემწის, ვიღაცა ზენ- ჩენკოს სიტყვებს და ამბობს: „სამურზაყანოე- ლები იგივე აფხაზებია“, რომელთაც არავითარი ერთობა ქართველებთან არა აქვთო. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ვოსტორგოვი და მისი დამქაშები (სამწუხაროდ ქართული წრეებიდან) წარბშეუხრელად უარჲყოფდენ მეგრელთა ქარ- თველობას და აშორდიები მათვის ახალ ანბანს და მწერლობას ჰქმნიდენ? ყველა ამის შემდეგ რა გასაკვირველი იქნება, თუ ახალი პროექტი სოხუმის ოლქის „ნმინდა ქართულ“ სამრევლო- ებში არც ერთ ამ „ეროვნებას“ არ ჩარიცხავს და ამერ-იმერთა ამარა დასტოვებს მათ?! მაგრამ, ნუ თუ იმ პასუხის შემდეგ, რომელიც პროფ. **6. მარმა** გასცა ვოსტორგოვს,¹ კიდევ ვინმე გაბედავს მეგრელების ქართველობა უარყოს? არამც თუ მეგრელები, ენათმეცნიერებამ გამოაკვლია, რომ აფხაზებიც ქართველთა მოდგმის, იაფეტურ შტო- ის, ხალხია² ეთნოგრაფიული და ლინგვისტური

1 იხ. მისი „ქართველთა ცხოვრება“.

2 H. Mapp – “К вопросу о положении абхазского языка среди яфети- ческих”. “История термина “абхаз”. “Яфетическое происхожде-

ნათესაობაც რომ არ იყოს, განა შესაძლოა აფხაზების ქართველებისაგან ჩამოშორება? ეს ხომ ჩვენი ისტორიის საფუძვლის უარისყოფა იქნებოდა! აფხაზეთი და საქართველო ისტორიულად ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გათიშვა წარმოუდგენელია. იყო დრო, როდესაც აფხაზებს დასავლეთი საქართველო ლაზიკად ჰნათლავდა; იყო ისეთი დროც, დაახლოვებით მერვე საუკუნედან, როდესაც „აფხაზეთი“ საეთნოგრაფიო ტერმინიდან პოლიტიკურ ცნებად გარდაიქცა და მთელს დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა. აქ, აფხაზეთში, საფუძველი ჩაიყარა საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებისა, გაძლიერებისა და აღყვავებისა. აგეთივე მტკიცე და შეურყეველი იყო საეკლესიო ერთობაც აფხაზეთსა და საქართველოს შორის. უკვე მერვე საუკუნიდან აფხაზეთში ფეხს იკიდებს ქართული სამონასტრო ახალშენები, რომელთაც თან შემოიტანეს და გაავრცელეს ქართული სალვთისმსახურო ენა და საეკლესიო წესწყობილება, რაღაც ერთი

ние абхазских терминов родаства". П. Чарая – "Об отношении абхазского языка к яфетическим".

საუკუნის განმავლობაში ქართული ქრისტიანობა ისე გაძლიერდა აქ, რომ არაბთა ბატონობის პირველ ხანებში საქართველოს ეკლესიამ სწორედ აფხაზეთში მოიბრუნა სული. შემდეგ საუკუნოებში აფხაზეთის საეკლესიო პრივილეგიებმა, ბერძენთაგან ნაანდერძევმა, შეჰქმნეს დასავლეთ საქართველოს, ანუ **აფხაზეთის** კათალიკოზი და მისი მერმინდელი შესატყვისი ჭყონდიდელი.¹ ბიჭვინთა, სიმონ კანანელის საფლავი და ოლორი საქართველოსთვის ისეთივე წმიდათა-წმიდაა, როგორც გელათი, მცხეთა და ბოდბე. მტკიცე სულიერ-ხორციელ და კულტურულ ნათესაობით აიხსნება, რომ ნეტარხესენებულ გაბრიელ ეპისკოპოზის და დეკანოზ მაჭავარიანის მეოხებით, სულ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში მოინათლა ორი მესამედი გამაპმადიანებულ აფხაზებისა, ხოლო 1885 წლიდან, მას შემდეგ, რაც აქ რუსის საეპისკოპოზო დაარსდა და მისი საქმეც ქართველების ხელიდან რუსებისაში გადავიდა, ქრისტიანობას არამც თუ წინ არ წაუწე-

1 Н. Mapp – “Исторический очерк грузин. церкви с древнейших времен” – Академик Латышев – “К истории христианства на Кавказе”.

ვია, თანდათან სუსტდება,¹ მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა საკუთარი მწერლობაც კი შეუქმნეს აფხაზებს.

ამ ნაირად, თუ „არაქართულ“ სამრევლო-ებად პროექტი მარტო რუსებს და ბერძნებს ჰყულისხმობს, უნდა შევნიშნოთ, რომ სოხუმის ოლქში ისეთი ადგილი არ არის, სადაც მარტო რუს-ბერძნები მკვიდრობდენ: ისინი შერეულ-გათქვეფილი არიან სხვა ეროვნებებში, მაშასა-დამე მათი გამოყოფვა და რუსის დამოუკიდებელ ეპარქიაში ჩარიცხვა ფაქტიურად შეუძლებელია და კანონიერად შეუწყნარებელი, ვინაიდან საეკ-ლესიო კანონები ნებას არ ჰქონია ერთსა და იმავე ადგილას ორი, ერთი მეორეზე დამოუკი-დებელი ეპისკოპოზი იყოს. ხოლო თუ აფხა-ზებსაც, მეგრელებსაც და სამურზაყანოელებ-საც „არა-ქართველად“ ჩასთვლიან, მაშინ მთელს სოხუმის ოლქზე უნდა ხელი ავიღოთ, მაგრამ, ვიმეორებთ, სოხუმის ეპარქია საქართველოს საკათალიკოზოს ისტორიულ საკუთრებას და განუკვეთელ ნაწილს შეადგენდა და შეადგენს;

1 ამის შესახებ იხილე არქიმან. ამბროსის – “По поводу статьи “Голос из Сухума”. Дух. Вестн. груз. Экзархата за 1916 г. № 9-10.

მაშასადამე მისი საქართველოს ეკლესიის სხეულისაგან ჩამოჭრა იქნება ახალი აქტი ძალმომრეობისა, რომელიც კატეგორიულად დაგმობილია მესამე მსოფლიო კრების მერვე კანონით. დღეს სოხუმის ოლქი გამოჰყოფვენ „არაქართულ“ სამრევლოებს, ხვალ თბილისის გუბერნიაში მოძებნიან ასეთ სამრევლოებს, ზეგ სხვაგან, ასე რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოს ეკლესია დაემსგავსება რტოშეჭრილ და შეკვეცილ ხეს და საქართველოს საეკლესიო საკითხიც სულ უბრალოდ გადასწყდება. ყველა ვალდებული ვართ ხმა ამოვილოთ ამის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ხმის ამაღლება ჰმართებთ სოხუმის ოლქსა და მის შეგნებულ ელემენტებს.

დიდუბის ეკლესია

ამ ბოლო ხანს დიდუბის ეკლესიის გარშემო დიდი განგაში ასტყდა; აღმოცენდა ეგრედ წოდებული „დიდუბის საკითხი“, რომელმაც საგონებელში ჩააგდო ეროვნულ ინტერესების მოტრფიალე და გულშემატკივარი ქართველი. ექ-სარხოს ინოკენტის დროს უცხოელებმა, რომელ-ნიც დროებით იქმაყოფილებენ სარწმუნოებრივ გრძნობას და მოთხოვნილებას დიდუბის ეკლე-სიაში, ამ ქართველთა სინმიდის დაპატრონება მოინდომეს და თითქმის კიდევაც მიაღწიეს მიზანს. ქართველებმა უმწეო ბავშვივით მიჰმართეს ყოფილ ექსარხოსს პიტირიმს, რომელმაც, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ურჩია მათ ამ უცხო ელემენტისათვის თავისი ხარჯით იქვე, მახლობლად, მეორე ეკლესიის აგება. რა აზრისაა ამ საკითხის შესახებ ახალი ექსარხოსი, არ ვიცით, მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ამბავი, რომელიც ახალ ხანას იწყებს „დიდუბის საკითხის“ ისტორიაში.

ოთხშაბათს, 13 ამ თვეს, დიდუბეში მწირველი ბრძანდებოდა ახალი ექსარხოსი, მთავარ ეპისკოპოსი პლატონი. წირვის დასასრულ მისმა მეუფებამ ამბიონიდან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც რამოდენიმეჯერ ხაზგასმით გაიმეორა, რომ „დიდუბის ეკლესია ქართველთა ეროვნული და ისტორიული სიწმინდეაო“. ამნაირად ექსარხოსმა თვით აღიარა ჩვენი უცილობელი უფლება სადაც საკითხში. თან მისმა მეუფებამ მწყემსმთავრული გულისწყრომა გამოუცხადა ქართველებს, განსაკუთრებით დიდუბის სამღვდელოებას, აწინდელსაც და უწინდელსაც, რომ ასე უპატრონოდ გვაქვს მიგდებული ეს ეროვნული სიწმინდე, სადაც „თამარ მეფეს განუცდია უშესანიშნავესი წამები ამა ქვეყნიურ ცხოვრებისაო“, რომ ამ სიწმიდესთვის ვერც გარეგნობით და ვერც შინაგანი მოწყობილობით ქართული ელფერი ვერ მიგვიცია: „რატომ ვერ ვხედავ მე აქ თამარ მეფის ხატსაო“? – იკითხა მისმა მეუფებამ.

ნუ თუ ამ სიტყვების გამგონე ქართველობას სირცხვილით, როგორც იტყვიან, „კბილში ოფლი

არ გამოდინდა“? – ვსტირით და მოვსთქვამთ – დიდუბე წაგვართვესო; რატომ? ვისი პრალია, რომ იერუსალიმში, სინასა და ათონის მთაზე ჩვენს სიწმიდეს ბერძნები დაეპატრონენ? ვისი პრალია, რომ წმ. ნინოს საფლავს, შესანიშნავ ახტალას, ხუჯაბს, მამკოდის წმ. გიორგს, კობენს და სხვა მრავალ ისტორიულ ნაშთებს ჩვენში რუსები დაეპატრონენ? ჩვენმა დაუდევრობამ, გულგრილობამ და დაკინებამ ბევრი დაგვაკარგვინებს. განა ვიღონეთ რამე, რომ დიდუბე არ დაგვკარგვოდა? რა გააკეთეს კერძოდ ამ ტაძრის წინამძღვრებმა, რომელნიც ყურს გვიჭედავენ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით, თავიანთ საქმიანობაზე ბევრს ლაპარაკობენ, – ერთს მათგანს თავის მოღვაწეობა ტრაპეზის სახარებაზე წარწერითაც კი აღუნიშნავს, – ხოლო დიდუბის ეკლესია იმავე ქურქში დაუნარჩუნებიათ, რომელიც ჩააცეს მას ამ ოციოდე წლის წინად. გარემოებათა მსვლელობას და ძალთა განწყობილებას გაუწიეს მათ ანგარიში თუ არა? რა გვმართებს დღეს?

ერთი გზა დიდუბის განსაცდელისაგან დახსნისა გვიჩვენა თვით ექსარხოსმა: ეკლესიაშიც

და წინაღმძლვრის ბინაზედაც მან მოითხოვა, რომ ეხლავე შეუდგენ ამ ეკლესიის შინაგან მოხატვას იმ სახით, როგორც შეეფერება მის ისტორიულ წარსულს და ეროვნულ მნიშვნელობას. დიდუბის ეკლესია მართლაც უნდა მოიხატოს ისე, რომ შიგ შესვლისას ჩვენ გადაგვეშალოს მთელი ჩვენი წარსული და თვალწინ წარმოგვიდგეს მრავალტანჯული საქართველო. როდესაც დაინახავენ უცხო ელემენტები, რომ „ზდეს ნე რუსიუ, ა გრუზიეიუ პახეტ“, თვითონ გავლენ გარე და გასცილდებიან გალავანს. 1906 წელს მათი ინტერესების ადგილობრივი წარმომადგენლები სინოდს უმტკიცებენ, რომ ქართველთა მართლმადიდებლობა და ეკლესიური გარეგნობა დიდად განსხვავდება ჩვენისაგან და ამის გამო ჩვენ ვერც ქართველ მღვდლებს და ვერც ქართულ ეკლესიებს ვერ ვეგუებითო. მართლაც დიდუბის კედლებზე ჩვენ უნდა აღვნიშნოთ და გამოვხატოთ ჩვენი მართლმადიდებლობა და მისი დამახასიათებელი თვისება, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა: გარეგნული კონსტრუქციით და სტილითაც დიდუბე უნდა ქართული ხელოვნების გამომხატველი იყოს.

ერთი სიტყვით, დიდუბის დღევანდელი ეკლე-
სია უნდა დაიქცეს და მის ადგილას აშენდეს ძეგლი,
როგორიც მთელს საქართველოს შეშვენის. ასეთი
საქმე კი მთელმა საქართველომ უნდა იკისროს;
ეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე
ქართულ თეატრის და მუზეუმის აშენება. დიდუ-
ბე, სადაც, ექსარხოსის სიტყვით, „თამარ მეფეს
განუცდია უშესანიშნავესი წამები ამა ქვეყნიურ
ცხოვრებისა“, დიდუბე, სადაც განისვენებენ ნ. ბა-
რათაშვილის, არ. ჯორჯაძის, ა. ხახანაშვილის,
ბ. ლოლობერიძის,¹ იაკობ გოგებაშვილის, დ. ბაქრა-
ძის და სხვა, ჩვენი გულისა და სულის მესაიდუმ-
ლეთა ძვლები, სადაც უნდა მოეწყოს „გამოჩენილ
ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი“ და
„სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავ-
დადებულ გმირთა მარადმოსაგონებელი ძეგლი“,
ჩვენი დიდუბე ღირსია იმისა, რომ ქართველობამ
აქ ააგოს დიდებული ტაძარი, გამომსახველი მისი
რელიგიურ-ფილოსოფიურ, ესტეტიურ-მისტიურ
და ისტორიულ-ეროვნული იდეიისა; ეს ტაძარი
უნდა იქნეს სიმბოლო საქართველოსი. ამ საქმის

¹ **უნდა იყოს:** ნიკოლოზ] ლოლობერიძე.
შემდგ.

იდეიური ინიციატივა უნდა „კულტურულ-საზოგადოებათა კავშირმა“ იკისროს, ხოლო მატერიალური – სათავად-აზნაურო ბანკმა და სხვა ქართულ დაწესებულებათ, თუმცა ყოველი, რომელ-საც თავის ქართველობის არა რცხვენია, ვალდებულია თავისი წვლილი გამოიღოს ამ დიადაქტიმის განსახორციელებლად.

მცირე შენიშვნა

12 აპრილი საქართველოში ისტორიულ დღედ დარჩება: ამ დღეს ჩვენში დაარსდა ის „შტაბი“, რომლის უქონლობა და საჭიროება პირველად ბატონმა ნიკო ნიკოლაძემ აღნიშნა. ეს „შტაბი“ გახლავსთ „კულტურულ-განმანათლებელ საზო-გადოებათა კავშირი“, რომელიც გარს შემოიკ-რებს და შეაერთებს დაქსაქსულ და გაბნეულ კულტურულ ძალთა მოქმედებას ჩვენში. მარ-თლაც, ამ „კავშირში“ შედის, ან და შესვლის სურვილს აცხადებს, ყოველი კულტურული დაწე-სებულება, როგორიც გინდა მცირე იყოს მისი მნიშვნელობა და შეზღუდული მისი სამოქმედო ასპარეზი. აქ ჩვენ ვერ ვხედავთ მხოლოდ წარ-მომადგენელს ქართველების კულტურის ისეთ მსხვილ და მნიშვნელოვან ფაქტორისას, როგო-რიც ქართული ეკლესიაა.

ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი იმაზე, თუ რა კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერის-

თვის ქართულ ეკლესიას. მართალია, დროშა, რომლითაც ის წინ მიუძღვოდა ძველად ქართველ ერს, დღეს სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ უჭირავთ ხელში, მაგრამ ეს კი- დევ იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესიამ სულ ერ- თიან დაჰკარგა მნიშვნელობა ჩვენში. ნუ და- ვივინწყებთ, რომ ერთად ერთ კულტურულ ძალას ჩვენს მიყრუებულს პროვინციებში დღესაც სამ- ღვდელოება წარმოადგენს, რომელიც შვოლის საქმეში, კომპერატივებში და სასოფლო ბანკის ოპერაციებში თვალსაჩინო სამსახურს უწევს და- ბეჩავებულ ხალხს. რა აზრისაც უნდა ვიყოთ ჩვენ მის მოქმედების შესახებ, ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოთ მას: თუ ვამჩნევთ, რომ ეს მოქ- მედება საჭიროა საზოგადო მიზნისთვის და სა- სარგებლო, უნდა მხარი დავუჭიროთ, ხოლო თუ ვხედავთ, რომ სამღვდელოება იმას ვერ აკეთებს, რის გაკეთებაც შეუძლიან და საჭირო არის, უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოთ და პროგრამა დაუწეროთ მას.

ესეც რომ არ იყოს, საეკლესიო საკითხი თავის- თავად, პრინციპიულად, განა ერთი საჭირბორო-

ტო კულტურულ საკითხთაგანი არაა დღეს ჩვენში? საქართველოს ეკლესიის კანონიურ უფლებათა აღდგენის და მისი გამოცოცხლების საკითხი დღეს მარტოოდენ მღვდლების საკითხად ვეღარ ჩაითვლება, ის გარდაიქცა ქართულ ეროვნულ საკითხად. წარმოიდგინეთ, ამ ეროვნულ საკითხის გასაშუქებლად ორიოდე დაინტერესებულმა პირმა ან კერძო ადამიანის ბინაზე უნდა გამოსთქვან ჩუმად თავისი აზრი, ან და თავად-აზნაურთა წინამდოლს თვით მთავრობის წარმომადგენელმა მიჰმართა, ერთი საკითხის შესახებ ქართულ საზოგადოების აზრის გასაგებად; ეს საკითხი სწორედ საეკლესიო საკითხი იყო. აი, დღესაც უშიშვლნიათ ხმალი, რათა ჩვენი ეკლესიის სხეულიდან სოხუმის ოლქი ჩამოსჭრან. არავინ ამის შესახებ კრინტს არა სძრავს, გარდა გაზეთ „საქართველოისა“, რომლის იერემიადა რჩება „ხმად მღალადებელისა უდაბნოსა შინა“. რათა? იმიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი ორგანო, რომელიც ქართველ ერის საერთო აზრის და მისწრაფების გამომხატველი იყოს ასეთ შემთხვევებში. ამნაირ ორგანოდ დღეიდან უეჭველად „კავშირი“ უნდა

გახდეს ჩვენში. ქართულ საეკლესიო საკითხების შესახებ გადაჭრილ აზრის გამოტანა დღეს ჩვენში ვერ უნდა იკისროს ვერც სასულიერო, ვერც საერო წოდებამ, გინა რომელიმე კერძო პარტიამ; აქ საჭიროა საერთო მიზანშეწონილი მოქმედება და მოსაზრება. აი, ამიტომ ვამბობ, რომ ახალ „კავშირში“, რომელმაც უნდა გამოხატოს ქართველ ერის საერთო აზრი, საჭიროება და მისწრაფება, უნდა გვესმოდეს მკაფიოდ **ქართულ ეკლესიის** ხმაც, არა როგორც ვიწრო პროფესიონალურ საზოგადოებისა გინა თუ კერძო წოდებისა, არამედ როგორც ერთგვარ კულტურულ ორგანიზაციისა, რომლის მისწრაფებანი და ინტერესები დღეს ეროვნულ ხასიათს იღებენ.

დარწმუნებული ვარ – მეტყვიან, რომ ეს იურიდიულად შეუძლებელია, ვინაიდგან „კავშირში წევრად შესვლა შეუძლიანთ მხოლოდ **ლეგალს** საზოგადოებებს“ (§5), ხოლო ქართული ეკლესია ლეგალურად დიდი ხანია აღარ არსებობს. მართალია, დღეს ქართული ეკლესია აღარ არსებობს როგორც ლეგალი დაწესებულება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოში ლეგალურად

არსებობს ოთხი ქართული ეპარქია (ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და სოხუმის), რომელთაც შეუძლიანთ თავთავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონ „კავშირში“; ამისი წინააღმდეგი საეპარქიო მთავრობაც არ უნდა იქნეს, ვინაიდგან კულტურულ კავშირში მონაწილეობა სწორედ მოვალეობაა ეკლესიის წარმომადგენელისათვის. ხოლო თუ, ვინიცობაა, საეპარქიო მთავრობამ ეს შეუძლებლად სცნო, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან „საქართველოს საექსარხოსოის საეკლესიო მუზეუმს“ მივმართოთ, როგორც ლეგალ კულტურულ ორგანიზაციას და მისი წარმომადგენლები „კავშირში“ ქართულ ეკლესიის ფაკტიურ წარმომადგენლებადაც დავისახოთ. სასურველია სხვებმაც გამოსთქვან პრინციპიული მოსაზრება – საჭიროა თუ არა ქართულ ეკლესიის წარმომადგენლობა ახლად დაარსებულ „კავშირში“; რაც შეეხება ამ წარმომადგენლობის პრაკტიკულად განხორციელებას, ამას სხვაფრივაც შემოევლება როგორმე.

პროვოკაცია თუ სიბეჭე?

(ალ. რემიზოვი და სომხების „სურფსარქისი“)

მართლმადიდებელთა მეზვერის და ფარისევლის კვირიაკეში მოდის ხოლმე სომხთა მარხვა, რომელსაც სომხები და ქართველები „არაჯავორს“ უწოდებენ, ხოლო ბერძნები და სლოვენები „არცივურის“. ვინაიდგან ამ მარხვასთან სომხებს შეერთებული აქვთ წმიდა სარქისის დღესასწაულიც, ამიტომ მას „სურფ-სარქის“-საც ეძახიან. როდის, რისთვის ან ვისგან დაწესებულა აღნიშნული მარხვა, ეს ჯეროვანად არაა გარკვეული. გრიგოლ განმანათლებელის მოწაფე ზენობი მოგვითხრობს, ვითომც თრდატ მეფემ გრიგოლი ჩააგდო ორმოში, საიდანაც ის, ღვთის ბრძანებით, ამოიყვანეს 15 წლის შემდეგ ღორად ქცეულ თრდატის ეშმაკეულმა ჯარის-კაცებმა, რომელთაც გრიგოლიმ განკურნება მიჰმადლა; სწორედ ამ განკურნების აღსანიშნავად და მოსაგონებლად

გრიგოლიმ „არაჯავორი“ განუწესა სომხებსო. იოანე პატრიარქის (VII ს.) სიტყვით, ეს მარხვა დაწესებულია ბეთლარმელთა (სპარსეთში) შავი ჭირისაგან დახსნის გამო. არსებობს ერთგვარი ლეგენდა შემდეგი შინაარსისა: სომეხთა მოძღვარს სარქისს (სერგი) ჰყავდა ძალლი, რომელიც მას მეტად უყვარდა იმ სამსახურისთვის, რომელსაც ის უჩენდა მას სამისიონერო მოღვაწეობაში, ეს ძალლი სარქისს მგლებმა შეუჭამეს და მან, ნიშნად გლოვისა, სომხებს „არაჯავორი“ განუწესაო.

ეს ლეგენდა „შუნ-სარქისი“-ს სათაურით მოუთავსებია რუსის მწერალს **ალ. რემიზოვს** “Ого-нек”-ის მეოცე ნომერში და თან დაუძენია, რომ იგი **ქართულია** და პირველად ჯვარის საყდრის (მცხეთასთან) მღვდელ-მონაზონის ილარიონისა-განაა გაგონილი (გვ. 4). ამ გარემოებას საფიქ-რებელში ჩაუგდია „კავკასკოე სლოვო“-ს „მემ-რაპნელე“ ბ. ლიკი, რომელსაც ასეთი ლეგენდის არსებობა თითქოს პირველად რემიზოვისაგან უნდა გაეგოს (№120); ლეგენდაში ის ხედავს სომეხთა სარწმუნოებრივ გრძნობის შებღალვას და შიშობს, ასეთმა უხეშმა „ხუმრობამ“ დიდი კო-

ცონი არ აღატყინოსო; ის კატეგორიულად მოითხოვს ქართულ ლეგენდების მცოდნე პირთაგან განმარტებას, რომ ქართველ ხალხს არ შეეძლო ასეთი ლეგენდის შექმნა.

„ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალილა აკლდაო“ ნათ-ქვამია; სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ისე-დაც საკმაოდ გამწვავდა ამ ბოლო დროს და რაღა საჭირო იყო გაუგებრობის გასაძლიერებლად კი-დევ სარწმუნოებრივ ელემენტების მოტანა? ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რუსის ინტელიგენცია არსებულ „სიმწვავეს“ თუ ვერ გაანელებდა, ყოველ შემთხვევაში ნეიტრალობას მაინც გამოიჩენდა; სამწუხაროდ, როგორც თანდათან ვრწმუნდებით, მას წალიზიანება და ერთი მეორის მისევა უფრო ეხერხება, ვიდრე მომრიგებლის როლი. ეს, კერძოდ, აღ. რემიზოვის შესახებ უნდა ითქვას; განა ის გარემოება, რომ მის მიერ ჩაწერილი ლეგენდა პირველად ქართველ ბერისაგან არის გაგონილი (თუ მართლა ეს ასეა), საკმაო საბუთს აძლევდა მას დაესკვნა, რომ თვით ლეგენდა ქართველები-საგანაა მოგონილი? ეს ან სრული უვიცობა და ხეპრეობაა, ანა და ერთგვარი პროვოკაცია.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და თანახმად პ. ლიკ-ის მოთხოვნილებისა, მე საჭიროდ მივიჩნიე დამესახელებია წყარო აღნიშნულ ლეგენდისა, რომლის შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს.¹

ხსენებული ლეგენდა დაიბადა პირველად საბერძნეთში, შავბნელეთით მოცულ საშვალ საუკუნოებში, როდესაც ქალკედონიტ-ბერძენთა და ანტიქალკედონიტ-სომეხთა შორის ატეხილი დოღმატიური პოლემიკა უკიდურესად გამწვავდა. წარმოიშვა ის სწორედ სომეხთა სარწმუნოებრივ გრძნობის შესაბალავად და მათი ეკლესიის გასაქირდავად. მაგრამ, ვარწმუნებ პ. რემიზოვს და დაინტერესებულ სომხებს აქ ქართველები არაფერ შუაშია; ეს ლეგენდა შეთხზა პირველად **სომხის რენეგატ-მღვდელ-მთავარმა ისააკმა**, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ბერ-

¹ იხ. проф. И. Мансветова – О постах православной восточной церкви, Москва, 1886 г.

проф. И. Карабинова – Триод постная, исторический обзор, Петрогр. 1913 г.

проф. Ив. Троицкий – Изложение веры церкви армянской, Петр. 1875 г.

H. Alt. D. Christliche Kultus, II, 1860.

ძნულ მართლმადიდებლობასთან ერთად ნიკიის სამიტროპოლიტო საყდარიც მიიღო. როგორც ყველა რენეგატს ჩვევია, მოპირდაპირეთა ბანაკ-ში გადასვლის შემდეგ, ისააკმა ხელი მოჰკიდა მშობლიურ ეკლესიის და ერის განქიქებას და ბერძნულად დასწერა “*Oratio invectiva adversus Arinarios*”.¹ აი, რას ამბობს ისააკი ამ ნაშრომში „არა-ჯავორის“ შესახებ: „სომეხთა მწვალებლობის მეთაურს, სარქისს ჰყავდა ეშმაკეული ძალლი, რომელსაც ეძახდენ „არცივურის“, რაც „ნინას-ნარმაუნებელს“ ნიშნავს. როდესაც სარქისი მოინდომებდა წასვლას ისეთ ადგილას, ქალაქსა თუ სოფელში, სადაც მისი მოწაფენი და თანამოაზრენი ცხოვრობდნენ, ნინადღით ძალლს გაგზავნიდა იქ. დაინახავდენ თუ არა ძალლს, მოწაფეები მიხვდებოდნენ, რომ მათი საყვარელი მოძღვარი მოდის და შორს-შორს მიეგებებოდენ მას. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, სარქისმა ძალლი სადღაც გაგზავნა წინამორბედად, სამწუხაროდ ის გზაზე მგლებმა შესჭამეს. მეორე დღეს გაემგზავრა

1 Migne – Patrol. Cursus Completus, seria Graeka, tom. 131, col. 1198, sqq.

სარქისიც, მაგრამ მოწაფეები არ შეეგებენ მას. როდესაც მივიდა მათთან, გაიგო, რომ ძალლი იქ არ მისულა. სარქისი შეუდგა ერთგულ მეგობრის ძებნას და ნაპოვნი ძვლების მეოხებით სცნო, რომ ის მგლებმა დაგლიჯეს. მაშინ მან გასცა განკარგულება, რათა სომხები, სევდითა და მწუ-ხარებით შეპყრობილნი, ყოველ წლობით ჰმარ-ხულობდნენ მისი ძალლის სიკვდილს, და სახე-ლად ასეთ მარხვას „არცივური“ უწოდა.

ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავი მოგონილია მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი გასტეხოდა სომხების „არაჯავორას“, რომელსაც თავისი ისტო-რია აქვს „აღმოსავლეთის“ ერთა ეკლესიაში. მარ-თლაც ისააკის შრომა საფუძვლად დაედო შემდეგ დროის ბერძენთა პოლემისტების თხზულებებს და ბოლოს საეკლესიო ტიპიკონშიაც კი მოჰყვა. მას სხვა და სხვა ვარიაციებით იმეორებდნენ სხვა და სხვა მართლმადიდებლობითი აღსარე-ბის ერები, მაგალითად, მოსკოვის სინოდალურ წიგნთსაცავის ერთ-ერთ სლოვენურ ხელნაწერში (№337/388), რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „გვესმა წმიდათა მამა-

თა და ბერძნულ საღმრთოთა წიგნთაგან სიტყვად, განმაქიქებელი მწვალებლობისა და უგუნურებისა მათისამ (სომხების), ვითარმედ კვირიაკესა ფარისეველთასა ენითა მათითა „არცივური“ ენოდების. „არცი“ იყო მოძღვარი მათი, ხოლო „ურეც“ ენოდებოდა მოწაფესა მისსა ძალლსა, რომელსაც ქედსა მისსა დაჰკიდის გუჯარი თვისისა სარწმუნოებისა და მწვალებლობისა და მოწაფეთა თვისთა წარუგზავნის. გარდახდომასა მრავალთა წელთასა მხეცთა მძვინვარეთა განბძარეს „ურეც“ და შეემთხვა მოძღვარსა მათსა „არცის“ ურვად და საღამობად ფრიადი, და განაწესა მან მიმდგომთა თვისთა მარხვად კვირიაკესა მას „ურეც“-ისათვისა მოწაფისა თვისისა.“.

ესეთი ლეგენდა შეუმჩნეველი არც ქართველებს დარჩებოდათ, ვინაიდგან ისინი ბეჭითად ადევნებდენ თვალყურს ყოველივე იმას, რაც საბერძნეთში სომხების შესახებ იწერებოდა, ამიტომ იმას ჩვენ ძველ ქართულს საეკლესიო მწერლობაშიაც ვხვდებით, და საკვირველი არაა, თუ ხალხურ ზეპირ თქმულებაშიაც შენახულია იგი. ყოველ შემთხვევაში ეს კიდევ იმას არ ნიშნავს,

რომ იგი ქართველებმა მოიგონეს, და ისიც სწორედ იმ დროს, როდესაც სომებ-ქართველთა ურთიერთობა ასე გამწვავდა. მე ვფიქრობ, თუ ალ რემიზოვმა საჭიროდ სცნო ამ ლეგენდის გამოქვეყნება, ისიც ყალბ და უსაფუძვლო კო-მენტარიებით, „კავკასკოე სლოვოს“ მაინცა და მაინც არ უნდა გაესვა მისთვის ხაზი. ამით მან უფრო მიიქცია საზოგადოების ყურადღება.

ღვთის-მსახურება და სამღვდელოება

(მოხსენება, წაკითხული სრულიად საქართველოს
1917 წლის საეკლესიო კრებაზე)

საქართველოს ეკლესიას, როგორც წევრს
აღმოსავლეთის მართლმადიდებლობითი ეკლე-
სიისას, აქვს მეტად რთული და ვრცელი რიტუ-
ალი, ე. ი. ღვთის-მსახურების წეს-რიგი. ჩვენი
ღვთის-მსახურება იმდენად ვრცელია, რომ ძნე-
ლად თუ ვინმე მოიპოვება ისეთი, რომელმაც
შესძლოს ტიბიკონისებური ლოცვა ბოლომდის
მოისმინოს. დღევანდელი ტიბიკონი, რომელიც
განსაზღვრავს ჩვენს ღვთის-მსახურებას, არის
სამონასტრო, ის დანიშნულია ბერ-მონაზონთათ-
ვის, რომელიც სულ სხვა პირობებში იმყოფები-
ან, ვიდრე ყოველდღიურ ჭირ-ვარამში გართული
და ათასგვარ ზრუნვით შეპყრობილი ადამიანი.
აღსანიშნავია რომ ტიბიკონისებური ღვთის-

მსახურება მონასტრებშიაც კი არ სრულდება დღეს, მხოლოდ ძველს ათონზე სცდილობენ ბერები იმის სისრულით დაცვას და აღსრულებას, და იქ ლამისთევითი ლოცვა, მაგალითად, ლამისთევაა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. თუ მონასტრებშიაც კი ვერ ახერხებენ ტიბიკონის შესრულებას, განა შესაძლოა ის ასრულდეს სოფლად? ცხადია რომ არა, და ეს გარემოება-კი მორწმუნე ადამიანს უკარგავს სულის სიმშვიდეს, ვინაიდგან იმას ჰგონია, რომ რაღაცა დანაშაულობას სჩადის, როდესაც ბოლომდის ვერ ისმენს ღვთის-მსახურებას, ან ისე ვერ ისმენს, როგორც ჯერ არს. ამისათვის საჭიროა ღვთის-მსახურება შემოკლდეს და განმარტივდეს ისე, როგორც ეს შეეფერება დღევანდელ პირობებში მყოფ მორწმუნე ადამიანის ცხოვრებას.

საკითხავია, რამდენადა გვაქვს ჩვენ ასეთი განმარტივებისა და შემოკლების უფლება. ვინც ჩვენი ეკლესიის რიტუალის ისტორიას გასცნობია, მან იცის, რომ ღვთის-მსახურება მეტად ცვალებადია. მოციქულებიდან მოყოლებული ის დროთა განმავლობაში თანდათან იცვლებოდა, ვიდრე დღევანდელი სახე არ მიიღო. ჩვენ რომ

შევადაროთ მაგალითად უძველეს დროის და ეხლანდელი კურთხევანი, დავინახავთ, რომ ის წესები, რომელთა შესრულებას ეხლა საათობით სჭირია დრო, ძველს რედაქციებში განისაზღვრება მხოლოდ რამოდენიმე ლოცვით. ავიღოთ თვით წირვის წესი: იმისი მოციქულთა დროინდელი უცვლელი დედაფუძე არის ეგრედნოდებული „საევეკარისტიო კანონი“, დანარჩენი ნაწილი-კი ცვალებადია. ჩვენ ვიცით, რომ იაკობ მოციქულის ჟამის წირვა, მეტად გრძელი და ვრცელი, შეამოკლა ბასილი დიდმა, ხოლო ამ უკანასკნელის – იოანე ოქროპირმა. აქედან ნათლადა სჩანს, რომ პრინციპი ცვალებადობისა ჩვენი ეკლესიისათვის უცხო არაა. ეს რომ ასე არ იყოს, ისტორიაში ხომ ადგილი არ ექნებოდათ წმიდა საფლავისა სპონდიულთა მონასტრისა, სოფია წმიდისა, სტოდიულთა მონასტრის, მთაწმიდელთა და საბაწმიდის ტიბიკონებს, რომელნიც თავიანთ ელფერს აძლევდენ ლვთის-მსახურებას, შესაფერ წესებს თხზავდენ და თავისებურად აყალიბებდენ საეკლესიო წიგნებს.

როდესაც ლაპარაკია ლვთის-მსახურების და საზოგადოდ ტიბიკონის განმატივებაზე, ეს იმას

არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ტიბიკონი სრულიად მოსპობილ იქმნეს; ის შეიძლება დარჩეს იმათთვის, ვისთვისაც დანიშნულია და ვისაც შეძლება აქვს უფრო სისრულით შეინახოს ის, სახელდობრ მონასტრებში. შეიძლება შენახულ იქმნეს ის აგრეთვე საკათედრო ტაძრებში, სადაც სამღვდელთმთავრო ღვთის-მსახურება სრულდება ხოლმე. რაც შეეხება სამრევლო ტაძრებს, აქ იგი შემოკლებულ უნდა იქმნეს. ამისი მაგალითი ისტორიაშიც გვაჟვს. კონსტანტინოპოლის „დიდ ეკლესიას“, ეგრედ-ნოდებულ „აია-სოფიას“, სადაც პატრიარქი „საზეიმო“ ღვთის-მსახურებას ასრულებდა ხოლმე, თავისი ტიბიკონი ჰქონდა, უფრო ვრცელი და რთული, ვიდრე სამრევლო ეკლესიებს; ეს უკანასკნელი ზოგად მიღებულ ტიბიკონს სოფლის ცხოვრებას და მოთხოვნილებას უფარდებდენ.

რასაკვირველია, რიტუალის განმარტივების საქმე მთავარმა საეკლესიო ორგანომ უნდა იკისროს; შეუძლებელია ის კერძო პირთა საწვალებლად გადაიქცეს. ამისთვის უთუოდ საჭიროა აღმოსავლურ ეკლესიათა თანამედროვე ლიტურღიული პრაქტიკის ცოდნა, ღვთის-მსახურების ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით გაშუქება,

იმისი არსებითი ნაწილების უმნიშვნელოთაგან გარჩევა, სიტყვით აქ საჭიროა წმინდა სამეცნიერო ძიება. ერთად-ერთი კომპეტენტი ორგანო, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ საქმეს მეცნიერ-სპეციალისტთა საგანგებო კომისიის საშუალებით, არის საკათალიკოზო საბჭო.

ერთი მთავარი საკითხთაგანია აგრეთვე თუ რა ანბანით უნდა იბეჭდებოდეს საღვთის-მსახურო წიგნები. ჩვენს ეკლესიაში თავიდანვე მიღებულია საღვთის-მსახურო წიგნების საბეჭდად ეგრედწოდებული „ხუცური“ ანბანი. ამას, რასაკვირველია, თავისი ისტორიული მიზეზი აქვს. პირვანდელი უძველესი ანბანი ქართული მწერლობისა, როგორც ეხლა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს ქართულ პალეოგრაფიაში, არის „ხუცური“, რომლიდანაც თანდათანობით მხედრული განვითარდა. პირველად „ხუცური“ ანბანით იწერებოდა არა თუ საღმრთო და საეკლესიო წიგნები, არამედ საერო ხასიათის ნაწარმოებნიც. მხედრულის გაბატონების შემდეგ „ხუცური“ საეკლესიო ანბანად დარჩა, თუმცა, უნდა ვსთქვათ, მეთვრამეტე საუკუნეში უკვე საეკლესიო წიგნების წერაც იწყეს მხედრული

ანბანით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხუცური დღეს ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა და მხედრულთან შედარებით უფრო ძნელი საკითხავია, ვაღიაროთ, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს საღვთის-მსახურო წიგნების ხუცურად ბეჭდვა და დროა ეკლესიაშიაც მხედრული ანბანი შემოვიღოთ ხმარება-ში. ბევრი მორწმუნე ქართველი იქნება ისეთი, რომელსაც საეკლესიო წიგნების წაკითხვა სწყურია, მაგრამ „ხუცურის“ უცოდინარობა უშლის ხელს. რათ უნდა დაუხშოთ მას კარი მაღალ პოეზიით და გრძნობით აღსავსე სალაროისა? უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს მხოლოდ საქართველოს ეკლესიაში და აგრეთვე რუსეთისაში, სადაც საეკლესიო წიგნები „სლავური“ ანბანით იბეჭდება; სხვა ეკლესიებში კი, მაგალითად საბერძნეთისაში, სომხებისაში, – ყველგან ერთი და იგივე ანბანი არის ხმარება-ში.

საღვთის-მსახურო წიგნების გამოცემის დროს უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება ზოგიერთ მეტად დაძველებულ ფრაზებისა და წინადაღებათა განმარტივებას და თანამედროულად და უფრო გასაგებად გადმოკეთებას. თვით ლიტურლიის

წესში ჩვენ ვხვდებით ისეთ ადგილებს, რომელთა გაგება მეტად ძნელია არამც თუ უბრალო მსმენელისათვის, არამედ ცოტად თუ ბევრად ძველს მწერლობაში დახელოვნებულისთვისაც. ავიღოთ, მაგალითად, „რომელი ქერობინთა“-ს მეორე ნაწილი: „და ვითარცა მეუფისა ყოველთასა შემწყნარებელსა ანგელოზთაებრ უხილავად, ძლვნის შემწირველთა, წესთასა, ალილუია“. – ეს საქმეც, რასაკვირველია, იმავე საკათოლიკოზო საბჭოს კომპეტენციას უნდა მიენდოს.

* * *

ერთ-ერთი მთავარი მორიგ საკითხთაგანია აგრეთვე ჩვენი სამღვდელოების ჩაცმულობა. სამღვდელოება თავისი განსაკუთრებული ტანი-სამოსით განსხვავებული და გამოთიშულია დღეს თავის სამწყსომსაგან. სამღვდელოების ეს ჩაცმულობა, ანაფორა-კაბები გამომუშავდა განსაკუთრებით აღმოსავლეთის ეკლესიაში, უფრო კი რუსეთში, სადაც თითქმის ყველა წოდებას და ყოველგვარ პროფესიას თავისი ფორმა ჰქონდა მიჩემებული. დასავლეთ ევროპაში ეს ასე არ არის. იქ არამცთუ ადგილობრივი მღვდელმსა-

ხურნი, არამედ მართლმადიდებელი სამღვდელო-ებაც ჩვეულებრივს საერო ტანისამოსს ატარებს ხოლმე. აქ საჭირო არაა შეჩერება იმაზე, თუ რა უხერხულობას შეიცავს სამღვდელოების გამო-თიშვა მორწმუნეთა კრებულისაგან ამ გან-საკუთრებული ტანისამოსით, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს, აქ შევჩერდებით მხოლოდ საკითხზე, შესაძლებელია თუ არა სამღვდელო პირებმა გარეშე საღვთის-მსახურო ადგილისა, ჩაიცვან ჩვეულებრივი საერო ტანისამოსი, ყო-ველი მოქალაქე რომ ატარებს.

თუ ისტორიულად შევეხებით ჩვენ ამ საკითხს, დავინახავთ, რომ განსაკუთრებული ტანისამოსი სამღვდელო პირთათვის შემდეგი დროის ნაყო-ფია, თავდაპირველად მღვდლები ტანისამოსით და გარეგნობით სრულიადაც არ განირჩეოდენ თავიანთ სამწყსოდასაგან, ისინი ისეთსავე ტანი-სამოსს ატარებდენ, რასაც სხვები. საისტორიო და საარქეოლოგიო კვლევა-ძიება ამ საკითხზე შემ-დეგ პასუხს იძლევა. თავდაპირველად სამღვდე-ლოება ეკლესიაში, ღვთის-მსახურების დროს, და ეკლესის გარეშე, სახლში, ერთსა და იმავე ტანი-სამოსს ატარებდა, ეს ტანისამოსი კი არაფრით არ

განირჩეოდა იმ ტანისამოსისაგან, რომელიც ეც-ვათ საერო პირთ ძველს რომსა და საბერძნეთში. ძველი რომაელები ატარებდენ გრძელსა და სრულ ტანისამოსს, რომელსაც ერქვა ტუნიკა ანუ ხიტონი, ბერძნულად სტიქარიონი, პალლიუმი ანუ იმატიონი, გინა თუ პენულა, ბერძნული გამოთქმით ფელონიონ; პირველი ამათგანი არის პროტოტიპი ჩვენი დროის სტიქარისა, მეორე კი ფილონისა, ის, რასაც ჩვენ დღეს ვეძახით გინგილას (მღვდლის გინგილას ოლარი ქვია), რომში ცნობილი იყო „ორარის“ სახელით და წარმოადგენდა გრძელს და ფართო სელის ლენტს, რომელსაც ბეჭზე ატარებდენ პირისა და სახის მოსაწმედად. პირველი ექვსი საუკუნის განმავლობაში სამღვდელოებაც ამავე ტანისამოსს ჰემარობდა ეკლესიაშიც და ეკლესიის გარეშე, ასე რომ ტანისამოსით ის არ განირჩევოდა საეროთაგან. მეშვიდე საუკუნიდან საქმე შეიცვალა.

მეექვსე საუკუნეში რომში ფეხი მოიკიდა გერმანულმა კულტურამ, რომელმაც თან მოიტანა მოკლე გერმანული სამხედრო ტანისამოსი. ვინაიდგან ეს ტანისამოსი უფრო ადვილი სახმარებელი იყო და თან ხელმისაწვდენიც,

მასსამ ადვილად და ძალიან მაღე გადაიღო ის. სამღვდელოებამ კი, როგორც უფრო კონსერ-ვატიულმა ელემენტმა, ამ ახალს, პარბაროსულ ტანისამოსს ზურგი აქცია და ისევ ძველებური გრძელი და სრული ტანისამოსი შეინარჩუნა. ამ-ნაირად, მეშვიდე საუკუნიდან თავი იჩინა განს-ხვავებამ სამღვდელო და საერო ტანისამოსს შორის. მეცხრე საუკუნემდე სამღვდელოება ღვთის-მსახურების დროს და შინაურ ცხოვ-რებაში ერთსა და იმავე ტანისამოსს ატარებ-და. მეცხრე საუკუნიდან საეკლესიო ცხოვრე-ბამ აღმოსავლეთში, საბერძნეთში, სპეციფიური ორთოდოქსალური ელფერი მიიღო და ამ მოვ-ლენამ თავისი ბეჭედი სამღვდელო ტანისამოს-საც დაასვა. საბერძნეთში ამ დროიდან ხმარე-ბაში შემოდის გრძელი, ჩვენებური ახალუხის მსგავსი, ტანისამოსი, რომელსაც „კაბადიონს“ უწოდებდენ; ამ „კაბადიონს“ იცვამდენ როგორც საერონი, ისე სამღვდელონი ეკლესიის გარე, ოჯახურს ცხოვრებაში, ეკლესიაში კი, ღვთის-მსახურების დროს ძველებურ რომაულ გრძელ-სა და სრულს ზემოთნახსენებს ტანისამოსს ჰქმარობდენ. ამ ნაირად მეცხრე საუკუნიდან თა-ვი იჩინა განსხვავებამ სამღვდელოთა საღვთის-

მსახურო და საოჯახო ტანისამოსში. „კაბადიონი“, რომელსაც სამღვდელოება იცვამდა, გადმო-ლებულ იქმნა ჩვენშიაც და შეიქნა ჩვენებურ სამღვდელო პირთა „კაბის“ პროტოტიპად. რაც შეეხება „ანაფორას“, ეს გარეგანი ფორმით იგივე კაბაა, მხოლოდ მის ზევით ჩასაცმელი; ეს თვითონ სახელწოდებიდანაც სჩანს: ანაფორა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ზემოდან სატარებელს“. ჩვენში რომ სამღვდელოება ტანისამოსით საერო-თაგან არ განირჩეოდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჩვენებური ჩოხა-ახალუხი წარმოადგენს განვითარებას ბერძნული „კაბადიონისას“, რო-მელიც, როგორც აღნიშნული იყო, სამღვდელო პირთა ტანისამოსად იქცა. ჩვენში მართლაც ხშირად სამღვდელო ტანისამოსს ჩოხას ეძახდენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბერების ტანისამოსს, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სამღ-ვდელო პირთა ტანისამოსისაგან, არამც თუ ძველად, ეხლაც ხშირად ეძახიან ჩოხას. ამნა-ირად, როგორც რომსა და საბერძნეთში, ისე საქართველოშიაც, სამღვდელო ტანისამოსი არაფ-რით არ განსხვავდებოდა საეროთა ტანისამო-სისაგან; თუ ეს ასე იყო ყოველგან ძველად, არც ეხლა იქნება რაიმე განსაკუთრებული, სამღ-

ვდელოებამ რომ იგივე ტანისამოსი ატაროს, რაც საზოგადო ხმარებაშია.

გარდა ტანისამოსისა, სამღვდელოება განირჩევა საეროთაგან გრძელი თმებით; ვერც ისტორიაში, ვერც საეკლესიო კანონებში ჩვენ ვერ ვიპოვნით გრძელი თმების ტარების გასამართლებელ საბუთებს, პირიქით, აქ ყველგან აერძალულია გრძელი თმების ტარება. ქრისტეანობის პირველ ხანაში, მოციქულების დროს, გრძელი თმების ქონა დიდ სირცხვილად იყო მიჩნეული. მოციქული პავლე ამბობს: „მამაკაცმან თუ გარდაუტეოს თმად გრძელად, უშუერებად არს მისა“ (1 კორ. XI, 14); იოანე ოქროპირი, ეპიფანე კვპრელი, ნეტარი იერონიმე, თეოდორე სტოდიელი და სხვები ერთხმად აღუკრძალავენ სამღვდელო პირთ, თითონ ბერებსაც-კი, გრძელი თმების ტარებას, ვინაიდან გრძელი თმების ტარება წარმართებს სჩვევიათო. „მოციქულთა დადგენილებანი“ აგრეთვე აღუკრძალავენ გრძელ თმების დაყენებას, რასაც ისინი მექავთა და მემრუშეთა თვისებად სთვლიან. მეშვიდე საუკუნეში არამც თუ გრძელს თმებს არ იყენებდენ, პირიქით, ჩვეულებაში შემოვიდა თავის კეფაზე მრგვლივ თმების გამოპარსვა. ასეთი პრაქტიკის მომაგონებელია ეხლა მღვდელთმთავრების

მიერ წიგნის მკითხველად კურთხევადის აღკვე-
ცა. მეექვსე მსოფლიო კრების 21 და 42 კანონი მო-
ითხოვს მღვდლებისა და ბერებისაგან, რომ იმათ
თმები აღიკვეცონ თუ მღვდლად და ბერად დარჩე-
ნა უნდათ. ამასვე ამონმებენ პატრიარქი გერმანე
(VIII საუკუნე), პატრიარქი პეტრე ანტიოქიელი
(XI ს.), ვალსამონი (XII ს.), სვიმეონ სოლუნელი (XV
ს.) და ეგრედნოდებული პიდალიონი (კანონთა
განმარტებანი), რომელიც 1800 წელს გამოიცა სა-
ბერძნეთში. ამნაირად, გრძელი თმების ტარება
ძველად არამცთუ სავალდებულო არაა, პირიქით,
როგორც დავინახეთ, აკრძალულიც კი არის. მაშა-
სადამე ეხლაც სავალდებულო არ უნდა იყვეს
სამღვდელო პირთათვის გრძელი თმების დაყენება.
თვით მათ სურვილზე უნდა იყვეს დამოკიდებუ-
ლი როგორ თმებს ატარებენ ისინი: გრძელსა თუ
მოკლეს, შეკრეჭილს.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი :

1. საჭიროა ჩვენი ღვთის-მსახურება განმარ-
ტივდეს, ცხოვრებას დაუახლოვდეს და, შეძ-
ლებისდაგვარად, შინაარსით და ფრაზეოლო-
გით, საშვალო მლოცველ-მორწმუნეთათვის

გასაგები იყოს. ამის მოსაგვარებლად საკათოლიკოზო საპჭოსთან უნდა დაარსდეს განსაკუთრებული „საღვთისმსახურო კომისია“.

2. საღვთო და საეკლესიო წიგნების საბეჭდავად უნდა შემოღებულ იქმნეს მხედრული ანბანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს წიგნები ფართო მასისთვის უფრო ხელმისაწვდომი იქნება.
3. კრებულის წევრთათვის სავალდებულო არ უნდა იყოს ეკლესიის გარეშე ანაფორის ტარება: სურვილისამებრ მათ შეუძლიათ საერო ტანისამოსი ატარონ.
4. მათთვის არც გრძელი თმებისა და წვერის ტარება უნდა იყოს სავალდებულო, ესეც კერძო სურვილზე უნდა იყოს დამოკიდებული.

ბიბლიოგრაფიული ცნობები

1. **მცხეთობა.** გაზეთი „საქართველო“ (1 ოქტომბერი, 1915, №106, გვ. 1). ხელმოწერა – „ქართველი“.
2. **როგორ აუმჯობესებენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას.** გაზეთი „საქართველო“ (23 ოქტომბერ-ვალი, 1916, №41, გვ. 3). ხელმოწერა – „მეგობარი“.
3. **საჭიროა თუ არა ქართლში საეპისკოპოსო კათედრა?** გაზეთი „საქართველო“ (25 ოქტომბერვალი, 1916, №43, გვ. 3). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.
4. **„კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“.** გაზეთი „საქართველო“ (5 მარტი, 1916, № 51, გვ. 3). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.
5. **„საქართველოს საექსარხოსო“** (ისტორიულ-კანონიური ცნობა). გაზეთი „საქართველო“ (10 მარტი, 1916, № 55, გვ. 2). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.
6. **ახალი სიურპრიზი.** გაზეთი „საქართველო“ (29 მარტი, 1916, № 70, გვ. 3-4). ხელმოწერა – „–ნელი“.

7. **დიდუბის ეკლესია.** გაზეთი „საქართველო“ (17 აპრილი, 1916, № 85, გვ. 3-4). ხელმოწერა – „ქართველი“.
8. **მცირე შენიშვნა.** გაზეთი „საქართველო“ (19 აპრილი, 1916, № 86, გვ. 3). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.
9. **პროვოკაცია თუ სიბეჭე?** (ალ. რემიზოვი და სომხების „სურფსარქისი“). გაზეთი „საქართველო“ (5 ივნისი, 1916, № 124, გვ. 1-2). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.
10. **ლვთის-მსახურება და სამღვდელოება** (მოხსენება, ნაკითხული სრულიად საქართველოს 1917 წლის საეკლესიო კრებაზე). ჟურნალი „სვეტიცხოველი“ (დეკემბერი, 1917, № 4, გვ. 13-16). ხელმოწერა – დეკ[ანოზი] კორ. კეკელიძე.

საძიებლები

პირთა

ადრიანე (პატრიარქი) 30
ამბროსი (არქიმანდრიტი) 38
არსენი (ეპისკოპოსი) 34
აშორდია 35

პარათაშვილი ნიკოლოზ 44
ბასილი დიდი 61
ბაქრაძე დიმიტრი 44

გაბრიელი (იმერეთის ეპისკოპოსი) 37
გერმანე (პატრიარქი) 71
გიორგი (წმ.) 42
გიორგი (იმერეთის ეპისკოპოსი) 14
გოგებაშვილი იაკობ 44
გრიგოლ განმანათლებელი 51

დავითი (ალავერდელი) 21

ევსევი (ეგზარქოსი) 26
ელიოზი 9
ეპიფანე კვიპრელი 70

Յալսամոնი 71

Յուստորշովո օռանյ 17, 18, 24, 31, 33-35

Ցենօծո 51

Ցենհենչո – 35

Պամարո (թյու) 41, 44

Տցոգորշ Տցոգոյելո 70

Տրդագ III 51

Ոպորշկո Տցեցանյ 30

Ոպոծո (Թուոյէլուլո) 61

Ոյրոնոմյ Եցիարո 70

Ոլարոնո (Թղզարկոսո) 52

Ոնցորոպա Ապլյ 8

Ոնոցենքո (Եցիարկոսո) 40

Ոռանյ Ռյուսորո 61, 70

Ոռանյ (Վագրուարյո) 52

Ոսաայո (Սոմեեօ Թղզարկո) 54, 55, 56

Յըղելօց Կորնելո 3, 7, 8, 73, 74

Ծոյո 52, 54

Յարո Եոյո 35

Մաժազարոանո დազոտ 37

Մորոան III 9, 10, 12

- ნიკოლაძე ნიკო** 46
ნიკოლოზი (კათალიკოსი) 10
ნინო (წმ.) 9, 10, 12, 42
- პეტრე (მოციქული)** 21
პეტრე ანტიოქიელი 71
პავლე (მოციქული) 21, 70
პაპუაშვილი ნუგზარ 8
პიტირიმი (ეგზარქოსი) 13-16, 18, 20, 21, 26, 32, 34, 40
პლატონი (ეგზარქოსი) 41
- რემიზოვი ალექსი** 5, 51-54, 58, 74
- სარქისი (სურბ სარქისი)** 5, 51, 52, 55, 56, 74
სვიმეონ სოლუნელი 71
სიდონია 9
სიმონ კანანელი 37
სოფია (წმ.) 61
სტეფანე (იხ. იავორსკი სტეფანე)
- ტორმასოვი ალექსანდრე** 28, 30, 31
- ქეთევან დედოფალი** 12
- ღოლობერიძე ნიკოლოზ** 44

Заңшылғылардың 8

Бағдарламандардың 44

Жөнжілеудегі архив 44

Болотов В.В. 29

Карабинов И.А. 54

Латышев В.В. 37

Мансветов И.Д. 54

Mapp Н.И. 35, 37

Никодим (Милаш) 29

Троицкий И.Е. 54

Чарая П.Г. 36

გეოგრაფიულ სახელთა

ადლერი 33

აზრუები 18

ათონი 42, 60

ალავერდი 15, 16, 20, 21

აფხაზეთი 36, 37

ახალქალაქი 20, 21

ახალციხე 20, 21

ახტალა 42

ბათომი (ბათუმი) 33

ბაქო 15, 21, 22

ბიზანტია 29

ბოდბე 37

ბიჭვინთა 37

ბაგრა 33

გელათი 37

გორი 15, 19, 20, 21

გურია 50

ღიდუბე 5, 16, 17, 40-44, 74

გვრობა 65

ერზურუმი (იხ. აზრუები)

3ლადიკავკავი (ვლადიკავკაზი) 25

ზიქპია 33

თბილისი 7, 15, 19, 21, 39

თელავი 20, 21

თერგი (ოლქი) 25

თესალონიკი 29

ტერუსალიმი 9, 42

ილორი 37

იმერეთი 14, 50

პავკასია 5, 17, 18, 24, 25, 31, 32, 73

კასპია 25

კახეთი 15, 20-22, 26, 50

კობენი 42

კონსტანტინოპოლი 62

ლაზიკა 36

ბამკოდა 42

მოსკოვი 56

მცხეთა 9, 11, 12, 19, 37, 52

ნიკია 55

პეტროგრადი 13, 14

რავენა 29

რომი 67, 69

რუსეთი 17, 25, 29, 30, 32, 64, 65

საბანმინდა 61

საბერძნეთი 54, 57, 64, 67-69, 71

სამეგრელო 50

საქართველო 5, 6, 8, 10, 11, 13, 14, 17, 18, 21, 22, 24-28,
30, 31, 33, 36-39, 43, 44, 46, 48-50, 59, 64, 69, 73, 74

სინა 42

სიღნაღი 20, 21

სოხუმი 32-35, 38, 39, 48, 50

სპარსეთი 18, 52

სტავროპოლი 18

თართლი 5, 19-22, 26, 50, 73

ქუთაისი 14

შავი ზღვა 32, 33

შუამთა 16

ხუჯაბი 42

პიქეთი (იხ. ზიქპია)